MES 9 23 0001484192

02/11/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ ფიფია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
1.სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლა
მანანა ხობელია - დირექტორი
2.სსიპ- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის №1 საჯარო სკოლა
სულხან ჯიჯელავა - დირექტორი
3.სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლა
ნატალია მგელაძე - დირექტორი
4.სსიპ- ქალაქ გორის N5 საჯარო სკოლა
ლეილა ნამორაძე - დირექტორი
5.სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლა
ნანა ცქვიტიშვილ - დირექტორი
6.სსიპ- ქალაქ თბილისის №71 საჯარო სკოლა
პაატა ჩორგოლაშვილი - დირექტორი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტ ები):
სსიპ - ქალაქ ფოთის №12 საჯარო სკოლა
ა) თამთა კობახიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) როლანდ შავაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ფიქრია მუმლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) აკაკი სადუნიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ხათუნა ფანცულაია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ლეილა ხელისუფალი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ლაშა სარალიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ირინე ჯანაშია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ირმა შველიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) მაკა ნატროშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;

სსიპ- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის №1 საჯარო სკოლა
ა) ლევან ღურწკაია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) თინათინ ბედუკაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ია ვარდოსანიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ხათუნა ქერაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ე) ია გაგნიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ნიკა უთალიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ზ) მარინე ახალაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
თ) ელიზა ბაგალიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ი) ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
კ) სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის №1 საჯარო სკოლა
ა) ლელა ჯაში - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ეთერ ბროლაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) დემეტრე ნარსია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ბესიკი ბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) მაია ქუთათელაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ნანა ჩილინგარაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ავთანდილ ცნობილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ია სეხნიაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო კოვზიაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ- ქალაქ გორის №5 საჯარო სკოლა
ა) ლია გრიგოლია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) თამარ საჩანელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) მაია ფხაკაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) შორენა გაგნიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ნინო ლაცაბიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ლამზირა აფაქიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) თეა ხუროშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) თეა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლა
ა) დავით ლიპარტელიანი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) მარიამ იაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ნინო ჭიჭინაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ლელა წურწუმია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ნინო ბურჯანაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ეთერ ქუთათელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) გიორგი ტაბუცაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) თამარ ოძელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ი) ევგენი გუგულაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ელენე ბეთლემიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ- ქალაქ თბილისის №71 საჯარო სკოლა
ა) ნანა მონიავა - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ბ) ცირა ნიკოლაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ნინო ფსუტური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) თამარ ოძელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ე) ნინო ბლუაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ნანა მარღანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
თ) ანა ობოლაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ი) ელენე ბეთლემიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) გიორგი კოპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა ჩატარდა 2023 წლის 20 ოქტომბერს ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე -7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ- ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ- ქალაქ გორის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადატანილიყო ბოლო საკითხად სკოლის შუამდგომლობის საფუძველზე. საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით:

1. სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ გორის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ თბილისის N71 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემმიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნადაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამთა კობახიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ფოთის №12 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ფოთში, ვიქტორ კრატასიუკის ქ. N1-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 550 მოსწავლე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლის შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში იყო შეტანილი და 140 წელზე მეტს ითვლიდა, რაც ფუნქციონირებდა. მისი თქმით, სკოლაში ექსპერტებს დახვდათ მაღალი თანამშრომლობითი კულტურის მქონე სასკოლო საზოგადოება, ასევე იგრძნობოდა პედაგოგების მაქსიმალური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.
თამთა კობახიძემ განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მესამე სტანდარტი (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება

სტანდარტის მოთხოვნებს“. ხოლო მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტის 3.4 კომპონენტი მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ასევე მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტმააღნიშნა, რომ მეტწილად შეფასებულ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ როგორ მიმდინარეობდა სკოლაში სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი და რამდენად უზრუნველყოფდა სამოქმედო გეგმა სტრატეგიული მიზნების მიღწევას. სკოლის დირექტორმა, მანანა ხობელიამ აღნიშნა, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესებში მთელი სასკოლო საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან სკოლას მიღებული ჰქონდა დასკვნა, სადაც ფიქსირდებოდა, რომ სკოლაში არსებული ერთ-ერთი კიბე იყო საფრთხის შემცველი. მორის დანდურიშვილი დაინტერესდა სკოლის მხრიდან თუ მოხდა უსაფრთხოების ექსპერტის აყვანა და აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის სკოლა ელოდებოდა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას და დაფინანსებას, რის შემდგომაც მოხდებოდა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულება.

საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლის ვებგვერდზე მუშაობა მიმდინარე წლის 29 სექტემბერს დასრულებული უნდა ყოფილიყო. ექსპერტმა, თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან რიგი მიზეზების გამო მოხდა ვებ გვერდზე პასუხისმგებელი პირის შეცვლა, რამაც განაპირობა აღნიშნული ვადის გადაცილება. სკოლის დირექტორმაექსპერტის მიერ გაცემული ინფორმაცია საბჭოზე დაადასტურა და აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის სკოლა აგრძელებდა ვერგვერდზე მუშაობას.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, თუ ხდებოდა კურიკულუმებში სკოლის ისტორიული ნაწილის გათვალისწინება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, აკაკი სადუნიშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ კურიკულუმებში ეს ნათლად არ ჩანდა, თუმცა სკოლის მასწავლებლებს ჰქონდათ მაღალი მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ სკოლას მისცა რჩევა, კიდევ ერთხელ მოეხდინათ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გადახედვა და საჭიროებისამებრ შეეტანათ ცვლილებები. ამასთან ერთად მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, სკოლაში არსებული ავარიული კიბე ყოფილიყო ჩაკეტილი და არ ჰქონოდათ წვდომა მოსწავლეებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 550-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ფოთის №12 საჯარო სკოლას (ს/კ: 215113400) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ.ფოთი, ვიქტორ კრატასიუკის ქ.N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ.ფოთი, ვიქტორ კრატასიუკის ქ.N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ.ფოთი, ვიქტორ კრატასიუკის ქ.N1

საბჭოს გადაწყვეტილებით, 3.4 და 2.2 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2024 წლის ოქტომბრამდე, ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, უფლებამოსილ პირთან/ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2. სსიპ- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან ღურწკაიამ. მისი განცხადებით, სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის №1 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 08 და 09 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, ახუთის თემში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 240 მოსწავლე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე სტანდარტი (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა განმარტა, რომ მესამე სტანდარტის კომპონენტები 3.4, 3.5 და 3.6 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ლევან ღურწკაიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
მისი თქმით, სკოლაში ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის პროექტი, რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან მოწოდებული დოკუმენტი, კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ძირითადად ორიენტირებული იყო სასწავლო პროცესებზე. საბჭოს ამავე წევრმა ექსპერტს და სკოლის წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, რამდენად უზრუნველყოფდა აღნიშნული დოკუმენტი სკოლის საქმიანობის ზედამხედველობას და ხომ არ არსებობდა სხვა, დამატებითი მტკიცებულება მოცემული თვალსაზრისით. სკოლის დირექტორმა სულხან ჯიჯელავამ აღნიშნა, რომ ხსენებული დოკუმენტის გარდა სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა გარკვეული მასალებიც, სადაც გაწერილი იყო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და დასკვნა შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისად, მან მიზანშეწონილად არ მიიჩნია შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის №1 საჯარო სკოლას (ს/კ : 242263509) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემი

საბჭომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინილ იქნას ექსპერტების მიერ 3.4 კომპონენტით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ: შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, საგანგებო სიტუაციების მართვის

შეთანხმებული გეგმა და დასკვნა შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე 3.5 კომპონენტით გათვალისწინებული რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის დამადასტურებელი ფოტო მასალა.

3. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემლელა ჯაშმა. მისი განცხადებით, სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 აგვისტოს. დაწესებულება შედგებოდა ორი კორპუსისგან და მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N47-ში,ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 2320 მოსწავლე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე სტანდარტი (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ლელა ჯაშმა დასძინა, რომ მესამე სტანდარტის 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტები მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტის განცხადებით, თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში ყურადღება გაამახვილა პროფესიულ განათლებაზე, რომელზეც სკოლა აქტიურად ზრუნავდა. მან ხაზი გაუსვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებას, როგორიც იყო სკოლის მიერ მემორანდუმის გაფორმების საკითხი ერთ-ერთ პროფესიულ სასწავლებელთან მოცემულ დაწესებულებასთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, მოხდა სკოლაში სამკერვალო წარმოების გახსნა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა თანამშრომლობდა ასევე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ სასწავლებელთან და ბათუმის ტექნოლოგიურ პარკთან. დაწესებულებაში ფუნქციონირებდა მუსიკალური ბენდი, რომლის მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვაც მოხდა აჭარის განათლების სამინისტროს

მიერ. სკოლას შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის კოორდინატორი, რომელიც უზრუნველყოფდა მრავალფეროვანი და საინტერესო პროექტების განხორციელებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რამდენჯერ და რა მიზნით ხდებოდა სკოლის მხრიდან მშობლებთან შეხვედრების დაგეგმვა და ორგანიზება. სკოლის დირექტორმა, ნატალია მგელაძემ აღნიშნა, რომ მშობლებთან შეხვედრები ხორციელდებოდა რეგულარულად და აღნიშნული შეხვედრების რაოდენობა დამოკიდებული იყო კონკრეტულ საჭიროებებზე კლასისა და სკოლის დონეზე. საბჭოს ამავე წევრმა აქცენტი გააკეთა სკოლის მიერ წარმოდგენილ მშობელთა კრების ოქმზე და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა სასწავლო წლის დასაწყისშივე სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება გამახვილებულიყო ისეთ საკვანძო საკითხზე, როგორიც იყო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა.
ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა მორიგი კითხვით, რომელიც ეხებოდა ბოლო დროს განხორციელებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 2005-2007 წლებში. 2020 წელს კი მოხდა სკოლის სახურავის მთლიანი შეცვლა და ე.წ „მზის პანელებისთვის“ სივრცის მომზადება. მან ხაზი გაუსვა შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების ინტენსივობას, რომელიც თითქმის ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, ზაფხულის პერიოდში ხორციელდებოდა.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა განმარტა, რომ სკოლას ერთ-ერთ დოკუმენტად წარმოდგენილი ჰქონდა შესყიდვის ხელშეკრულება, სადაც არ იყო დაცული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მან სკოლას მისცა რჩევა ვადების დაცვის აუცილებლობის თაობაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის ისტორიის საგნის კურიკულუმები საინტერესო იყო მასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით. მან აქვე აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ შემუშავებულ დასკვნაში ერთ-ერთი მთავარი რჩევა მეორე სტანდარტთან მიმართებით სწორედ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს ეკუთვნოდა. კერძოდ, ყურადღება გამახვილებული იყო შეფასების რუბრიკებზე. დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს, ბესიკ ბერიძეს და სთხოვა განმარტება გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საწყის ეტაპზე არ იყო სტანდარტთან შესაბამისობაში, რის შემდეგაც, გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე სკოლის მხრიდან მოხდა მასალის სრულყოფილად წარმოდგენა.
საბჭოს მიერ სკოლას მიეცა რჩევა, კიდევ ერთხელ გადაეხედა სკოლას მ მისიისთვის და მოახდინა მისი კორექტირება, კონკრეტულ საკითხებზე ფოკუსირების მიზნით. ასევე ყველა პედაგოგის მხრიდან წარმოდგენილი ყოფილიყო ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ და დაწესებულებას ეზრუნა მეორე ექიმის აყვანაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2320-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 11

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა და დასკვნა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ამდენად, მან მიზანშეწონილად არ მიიჩნია შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლას (ს/კ : 245429040) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2320 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №47
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №47
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №47

საბჭომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა ექსპერტების მიერ 3.4 კომპონენტიით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ, ექიმის კაბინეტის სრულყოფილად აღჭურვის ამსახველი და შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და დასკვნა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე 3.5 კომპონენტიით გათვალისწინებული რეკომენდაციის შესრულების

დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ, ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის დამადასტურებელი ფოტო მასალა.

4. **სსიპ- ქალაქ გორის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ლია გრიგოლიამ. მან განაცხადა, სსიპ- ქალაქ გორის N5 საჯაროსკოლაშისაავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 17 და 18 აგვისტოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ გორში, ზ. რუხაძის ქუჩა N64-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1200, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ მოსწავლეთა უნარების განვითარებისა და სკოლისადმი მიკუთვნებულობის გააზრების მიზნით, სკოლაში ტარდებოდა გამოფენები, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებიც.
სკოლას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში დაწესებულებაში მიმდინარეობდა პროექტი - „კოდინგის სკოლა ქალებისთვის“, რომელშიც მონაწილეობდნენ მშობლები და უფროსკლასელები. პროექტი ხელს უწყობდა მოსწავლეთა პროფორიენტაციას და ეხმარებოდა მათ მომავალი პროფესიის განსაზღვრაში.
ექსპერტის განაცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი და მესამე სტანდარტები შეფასდა, როგორც, ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მესამე სტანდარტის 3.4 და 3.5 კომპონენტები კი შეფასდა მეტწილ შესაბამისად. რაც შეეხება მეორე და მეოთხე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე სტანდარტის ყველა კომპონენტი შეაფასა სრული შესაბამისობით.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის საკლასო ოთახებსა და თავისუფალ სივრცეებში გამოფენილი იყო

მოსწავლეთა ნამუშევრები, სკოლისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია და ისეთი ნივთები, რომლებიც ქალაქ გორში არქეოლოგიური გათხრების შედეგად იქნა მოპოვებული, რომელშიც ასევე მოსწავლეებიც იღებდნენ მონაწილეობას. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ასევე ჰყავდა მოტივირებული და განვითარებაზე ორიენტირებული მასწავლებლები და სასკოლო საზოგადოება, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი ორგანიზაციული კულტურით.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების ოქმით, სადაც აღნიშნული იყო, რომ ერთ-ერთ მიმართულებას, რომლისთვის თანხა უნდა დახარჯულიყო, წარმოადგენდა სასწავლო ინვენტარი. მან კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა, რა იგულისხმებოდა სასწავლო ინვენტარში.
სკოლის დირექტორმა, ლეილა ნამორაძემ განაცხადა, რომ სკოლა საჭიროებდა რესურსების შეძენას სსსმ მოსწავლეებისათვის, რომლიც ნაწილიც უკვე შეძენილი იყო.
ეკატერინე კვირიკაშვილმა დასძინა, რომ მოცემული საკითხი სკოლას არ ჰქონდა დაფიქსირებული თავის სამოქმედო გეგმაში და რჩევის სახით განუცხადა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, თუკი ბიუჯეტსა და სამოქმედო გეგმას თანადროულად შეიმუშავებდნენ, რათა არ მომხდარიყო აცდენა მოცემულ დოკუმენტებს შორის.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სახელმწიფო ენის საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა მეტი ინფორმაცია წარმოედგინა კურიკულუმებსა და მასწავლებელთა მზაობის შესახებ.
სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა, თეა გაბისონიამ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ორგანიზებული და მოტივირებული მასწავლებლები, ხოლო კურიკულუმები, თავისი შინაარსით მოწესრიგებული და სტანდარტთან შესაბამისი იყო. ექსპერტის განცხადებით, მასწავლებლებმა ვიზიტის დროს გასაუბრებისას აქცენტი გააკეთეს არაფორმალურ განათლებაზე და გამოხატეს მზაობა, გაემრავალფეროვნებინათ კურიკულუმები. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მასწავლებლებს უკვე გააზრებული ჰქონდათ მთავარი არსი, რასაც ახორციელებდნენ კურიკულუმებთან მიმართებით.
საუბარში ჩაერთო დაწყებითი განათლების მიმართულების საგნობრივი ექსპერტი , ლელა მანგოშვილმა, რომელმაც განმარტა, , რომ კონკრეტულად მესამე და მეოთხე კლასის კურიკულუმების შესწავლისას და ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ყველა თემაში სამიზნე ცნებისათვის შერჩეული ჰქონდათ მოსწავლეებისათვის შესაბამისი კომპლექსური დავალებები.
ტექნოლოგიების საგნობრივმა ექსპერტმა, თეა ხუროშვილმა ასევე დაადასტურა რომ ტექნოლოგიების მიმართულებით წარმოდგენილი კურიკულუმები იყო სტანდარტთან შესაბამისობაში და აღნიშნა, რომ პედაგოგები გამოირჩეოდნენ მაღალი მზაობითა და პასუხისმგებლობით.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ჯულიეტა ტაბეშაძემ, განაცხადა, რომ მათემატიკის კურიკულუმები გამდიდრებული იყო მრავალფეროვანი რესურსებით, მაგალითისთვის, მან დაასახელა Learning app რესურსი, სადაც მასწავლებლები ქმნიდნენ სხვადასხვა აქტივობებს და იყენებდნენ სწავლა-სწავლების პროცესში.
საბჭოს მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, გადაეხედა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისთვის და უფრო მეტად დაეკავშირებინა ისინი სკოლის სპეციფიკასა და საჭიროებებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ გორის N5 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ გორის №5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა და დასკვნა შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. გამომდინარე აქედან, მან არ მიიჩნია მიზანშეწონილად აღნიშნულ სკოლაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ გორის №5 საჯარო სკოლას (ს/კ: 218016714) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. გორი ზ. რუხაძის ქ. №64
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. გორი ზ. რუხაძის ქ. №64
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. გორი ზ. რუხაძის ქ. №64

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ 2024 წლის ოქტომბრამდე, ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები. ასევე, 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები

და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, 2025 წლის ოქტომბრამდე დაწესებულებას ცენტრში წარმოედგინა, ინკლუზიური გარემოს შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

5. სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ლიპარტელიანმა. მან განაცხადა, რომ სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 27 ივნისს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქ. ქუთაისში ნიკეას ქ. მე-3 შესახვევი №2-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200, რასაც ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული საკლასო ოთახების ჯამური ფართობის შეფარდება მოსწავლეთა მოთხოვნილ რაოდენობასთან შეადგენდა დაახლოებით 1.25-1.4 კვ.მ-ს ერთ მოსწავლეზე. მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის ერთ ცვლაში განთავსების შემთხვევაში, რთული იქნებოდა სწავლების პროცესში მოსწავლეთათვის კლასის ორგანიზების სხვადასხვა ფორმების გამოყენება.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო დაწესებულების ხელმძღვანელობის აქტიური მუშაობა. სკოლამ შეძლო მოეპოვებინა თემის ნდობა. ამჟამად სკოლაში არა მხოლოდ დევნილი და იძულებით გადაადგილებული ოჯახის შვილები სწავლობდნენ, არამედ ის მოსახლეობაც, რომელიც თავიდანვე სკოლის ახლო მდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდა. სკოლა გამოირჩეოდა მოსწავლეებისადმი პოზიტიური დამოკიდებულებით და ცდილობდა შეექმნა ისეთი სასწავლო გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნებოდა შესაძლებლობა გამოევლინა და განევითარებინა საკუთარი უნარები და შესაძლებლობები.
პრეზენტაციის ფორმატში, ექსპერტმა წარმოადგინა ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა რესუროთახი, პანდუსი, სამედიცინო კაბინეტი, ცეცხლმაქრები, ევაკუაციის გეგმა, ადაპტირებული სველი წერტილი და სხვ.
ექსპერტის განაცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის

მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მისი კომპონენტები 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.5 და 3.6 კი შეფასდა მეტწილ შესაბამისად. მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 4.2 შეფასდა, როგორც მეწილად შესაბამისი. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, ჯგუფმა შეაფასა როგორც,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს, ლელა წურწუმიას და სთხოვა დაეზუსტებინა, რასთან დაკავშირებით იყო გაცემული რჩევები მეორე სტანდარტთან მიმართებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ლელა წურწუმიამ აღნიშნა, რომ თავდაპირველად სკოლამ გამოაგზავნა კურიკულუმები საგნობრივი მიმართულებით სამივე საფეხურზე, თუმცა წარმოდგენილ მასალებში ფიქსირდებოდა მხოლოდ თითო საგანი, კერძოდ, დაწყებით საფეხურზე საგან ,,ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმი შესაბამისობაში იყო კანონმდებლობის მოთხოვნებთან, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე სკოლის მიერ წარმოდგენილი საგან გეოგრაფიის კურიკულუმი ექსპერტთა ჯგუფის მიერ დახარვეზდა. აღნიშნული გათვალისწინებით, სკოლამ უზრუნველყო საგნობრივი კურიკულუმების სრულყოფილად წარმოდგენა, თუმცა რეკომენდაციის მიუხედავად, მაინც დარჩა წარმოსადგენი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები თემის ფარგლებში. , ექსპერტის განცხადებით, აღსანიშნავი იყო სკოლის აქტიური მუშაობა არაფორმალური განათლების მიმართულებით, კერძოდ, დაწესებულება ჩართული იყო USAID-სამოქალაქო განათლების პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის მიმართ გასცა რჩევა, რომ მათ უფრო მეტი უნდა ემუშავათ კურიკულუმებზე, დაელაგებინათ თემატურად და გაევლოთ ლოგიკური ხაზი, რათა მომხდარიყო აცდენა თემებს შორის და საკითხები არ ყოფილიყო მოსწავლეთათვის დაუძლეველი.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას შესაბამისობის გეგმის მიხედვით დოკუმენტების ნაწილი უნდა წარმოედგინა ოქტომბრამდე. მან კითხით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, რა ეტაპზე იყო დოკუმენტაციის წარმოდგენის პროცესები.

სკოლის დირექტორმა, ნანა ცქვიტიშვილმა, აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ისინი აგვარებდნენ და აწესრიგებდნენ ყველა შეუსაბამობას. კერძოდ, მათ მანდატურისთვის გამოყვეს ფართი, მოპოვებული ჰქონდათ მდგრადობის შესახებ დასკვნა, გამართეს ვებ-გვერდი და შეიტანეს ცვლილებები კურიკულუმებში. დირექტორის განცხადებით დარჩენილი იყო გარკვეული ხარვეზები, თუმცა მათი შესრულებაც მოხდებოდა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში.

ცენტრის წარმომადგენელმა სიტყვით მიმართა საბჭოს და განაცხადა, რომ სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილი იყო წერილი, რომლითაც იუწყებოდა, რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლა მზად იყო მიეღო 211 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს და სთხოვა აეხსნა, აცხადებდა თუ არა სკოლა მზაობასმიეღო მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობა. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ საბჭოს ჩატარების დღისთვის სკოლაში ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 207-ს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 211-ით განსაზღვრის საკითხი.

ენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან მეორე სტანდარტი საჭიროებდა დახვეწას და მასზე მეტ მუშაობას.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლას (ს/კ: 249259127) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 211- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. მე-3 შესახვევი №2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. მე-3 შესახვევი №2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. მე-3 შესახვევი №2

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი : 2025 წლის ოქტომბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;

- მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მეორე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მესამე და მეოთხე სტანდარტი სრულად.

6. სსიპ- თბილისის №71 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, ინტერესთა კონფლიქტის გამო, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის ხელმძღვანელი წარმოადგენდა მისი მისი ოჯახის წევრს, ითხოვა აცილება სსიპ - თბილისის №71 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანა მონიავამ. მან განაცხადა, სსიპ - თბილისის №71 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 31 ივლისსა და 01 აგვისტოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გლდანის VIII მ/რნ-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1305, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.
ექსპერტის განაცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, ოთხივე სტანდარტის ყველა კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სრული შესაბამისობით. ექსპერტის განცხადებით, სკოლას მიეცა რჩევა მეორე ექიმის აყვანასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, ექიმის კაბინეტი, ადაპტირებულის სველი წერტილები, რესურსოთახი, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები და დიდი რეკრეაციული სივრცე ეზოში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, აღნიშნა რომ შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნაში იკვეთებოდა სკოლის ვარგისიანობა ექსპლუატაციისთვის, თუმცა მასში ასევე აღნიშნული იყო, რომ სეისმური მდგრადობის თვალსაზრისით შენობა იყო შეუსაბამო. შესაბამისად, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ ვინაიდან, სკოლის შენობა - ნაგებობას სჭირდებოდა გაძლიერება, მანამდე არ მომხდარიყო სკოლის შენობის მეოთხე სართულის გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის. ექსპერტთა მოსაზრებით, და სკოლას ესარგებლა მხოლოდ ლაბორატორიული სამუშაოებითა და ისეთი პროცესებით, რომლებიც არ

მოითხოვდა მოსწავლეთა ინტენსიურ ჩართულობას. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემთხვევაში, შეძლებდა თუ არა სკოლა მიეღო 1305 მოსწავლე.
სკოლის დირექტორმა, პაატა ჩორგოლეიშვილმა, განაცხადა, რომ რეკომენდაციები, რომლებიც გაცემული იყო სეისმური მდგრადობის შესახებ, ძირითადად მოიაზრებდა 8 ან მეტ ბალიანი მიწისძვრების შემთხვევებს. მან დასძინა, რომ ამ ეტაპზე არ არსებობდა არანაირი საფრთხე, მაგრამ თუკი საჭიროება მოითხოვდა, სკოლა აქტიურად არ გამოიყენებდა მეოთხე სართულს და უზრუნველყოფდა, რომ მოსწავლეებს ევლოთ ორ ან შეჭრილ ცვლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა მეორე ექიმის აყვანის თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- თბილისის N71 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1305-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- თბილისის N71 საჯარო სკოლას (ს/კ: 209469332) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1305-ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი გლდანის VIII მ/რ
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი გლდანის VIII მ/რ
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი გლდანის VIII მ/რ

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა 20:10 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა